

## მარნეულის კოლეჯში

### 2021 წელს ჩასატარებელი გასაუბრების ვადები

20 აგვისტოს დასრულდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია და იწყება შერჩევის პროცესი. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა წინარე ცოდნის და კომპეტენციების შეფასებას და პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთაც შესწევს უნარი წარმატებით დაძლიონ პროგრამა.

მარნეულის კოლეჯში ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტებისათვის შერჩევის მეთოდად განისაზღვრა მოტივაციური გასაუბრება, რაც გულისხმობს პირის მზაობის დადგენას არჩეული პროფესიის დაუფლების კუთხით.

სამოტივაციო გასაუბრებას ჩაატარებს მიმღები კომისია.

- გასაუბრება ჩატარდება **2021 წლის 10 და 11 სექტემბერს;**
- განმეორებითი გასაუბრება ჩატარდება **13 სექტემბერს,** განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს;
- გასაუბრების შეფასება არის დიფერენცირებული და მასიმალური ქულების რაოდენობაა 24, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი -- 5 ქულა;
- გასაუბრება ჩატარდება კოლეჯში მოქმედი კოვიდრეგულაციებისა და ნაკადების მართვის დაცვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აპლიკანტი საპატიო მიზეზით (აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების ან დასაბუთებული განცხადების საფუძველზე) ვერ ახერხებს კოლეჯში გამოცხადებას. ამ შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა მიმართოს კოლეჯს **1 სექტემბრამდე** (ტელეფონის ნომერზე: +995 595 302 390) და გასაუბრება ჩატარდება ელექტრონულად საკომუნიკაციო პლატფორმის გამოყენებით;
- გასაუბრების ხანგრძლივობა თითოეული აპლიკანტისათვის 10-15 წუთი;
- შეფასების შედეგი აისახება აპლიკანტის პირად ბარათზე და გაეგზავნება მას ელექტრონული ფოსტით ;



## შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი

აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით კოლეჯის დირექტორთან გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

განცხადება შეიძლება გამოიგზავნოს ასევე ელექტრონულ ფოსტაზე [marneulicollege@gmail.com](mailto:marneulicollege@gmail.com) სადაც აუცილებლად უნდა დაერთოს თან განმცხადებლის პირდობის მოწმობა;

შეფასების შედეგების გასაჩივრება აპლიკანტს შეუძლია **2021 წლის 12 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით**,

განცხადებაში უნდა იყოს მითითებული აპლიკანტი არ ეთანხმება შეფასების დროს მიღებულ ქულებს, თუ მის მიმართ დაირღვა პროცედურული ნორმები;

განცხადებას განიხილავს სააპელაციო კომისია.

სააპელაციო კომისია 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს აპლიკანტის საჩივარს და უფლება აქვს ტესტირებისას აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი/პასუხები, ან ჩაატაროს განმეორებითი გასაუბრება და დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი შეფასება ან - დატოვოს იგივე შეფასება.

სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა მიმღები კომისიის ოქმს და იღებს გადაწყვეტილებას მიმღები კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ.

სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებას ერთი სამუშაო დღის ვადაში აცნობებს კოლეჯის ადმინისტრაცია აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კოლეჯის ადმინისტრაცია გისურვებთ წარმატებას